ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23
ტელ: 25-93-21, ფაქსი: 25-93-13

N 05/809
13/02/2017

809-05-2-201702131855

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ჯუმბერ ბერიძეს

ასლი: პეტიციის

მხარდამჭერთა წარმომადგენლებს:

ბატონ ალექსანდრე კვირიკაძეს;

ბატონ ზებურ მამუჭაძეს;

ბატონ მიხეილ საფარიძეს;

ქალბატონ ნესტან როდინაძეს;

ქალბატონ თინათინ ლორთქიფანიძეს

ბატონო ჯუმბერ,

მიმდინარე წლის 09 თებერვალს თქვენს მიერ წარმოდგენილ #06/48 წერილის პასუხად გაცნობებთ (თანდართული პეტიციებით), სადაც მოთხოვნილია:

1. პეტიცია (1) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებსა და დაბაში აბრებისა და ნიშნულების მოწყობა, აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს მუშაობა და შესაბამისი სამსახურის მიერ მიმდინარეობს შესწავლა. ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება დადებითად;
2. პეტიცია (2) სოფელ წინსვლაში #20 ქუჩის რეაბილიტაციის საკითხი, ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული გზის მონაკვეთი შეადგენს 1200 გრძივ მეტრს, ერთი m^2 ღირებულება შეადგენს 37.5 ლარს, ხოლო მთლიანი ღირებულება 135000 ლარს, რომლის განხორციელება მოხდება შესაბამისი პროექტის მომზადების შემდეგ(მიმდინარეობს ნაწილი გზის მონაკვეთის გამიჯვანა, ვინაიდან ქალაქის ტერიტორიას წარმოადგენს);
3. პეტიცია (3) სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის აშენება, აღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, გამგეობამ დაიწყო სკოლებში განთავსებული

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემავალი 39/06
თარიღი 14.02.2017
248428386

ბაღებისათვის ახალი ბაღის მშენებლობა სოფ. ორთაბათუმში და ახალშენში, ხოლო ერგეს საბავშვო ბაღის მშენებლობა მოხდება შესაბამისი ადგილის გამოყოფისა და პროექტის მომზადების შემდეგ.

4. პეტიცია (4) სოფელ მახოში კულტურის ცენტრის (კლუბის) აშენება, ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, ალტერნატიულ ღონიძიებად განხილულია სკვერის მოწყობა, რომლის სახრჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრება 30000 ლარის ოდენობით;
5. პეტიცია (5) სოფელ ახალსოფელში, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა, ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ პირველ ეტაპზე მოხდება პროექტის მომზადება და შემდგომ აღნიშნული პროექტის განხორციელება.

ნადიმ ვარშანიძე

6.3

გამგებელი

ხელმძღვანელობა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **128-1282136483**
თარიღი: **30/12/2021**
პინი: **6142**

ადრესატი: დემოკრატიის ინსტიტუტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204566264
მისამართი: ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის 107

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დემოკრატიის ინსტიტუტის აღმასრულებელი საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ლორთქიფანიძეს

თქვენი მომართვის (N11/2313; 22.11.2021წ) პასუხად, რომელიც შეეხება სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ ინფორმაციას, აღნიშნულზე გაცნობებთ, რომ მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია შესაბამისი მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია სამომავლოდ გეგმავს სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის შენობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას, რის შემდგომ შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიების შემთვევაში გათვალისიწნებული იქნება მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში.

მირიან კვირიტიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი